საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 6 მაისის
დადგენილება № 450[1]

სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი
მუშაობის შეფასების წესის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების თანდართული წესი.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (გ. ძიძიგური):
   ა) უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასებისას იხელმძღვანელოს წესში მოცემული შეფასების ფორმებითა და კრიტერიუმებით;
   ბ) ორ თვეში წარმოადგინოს წინადადებები შეფასების შედეგების გაფორმებისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რეაგირების სისტემის შესახებ;
   გ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმიანობის, პირველ რიგში, მეცადინეობების ხარისხის სისტემატური შეფასება და შედეგები წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.
3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში ლ. კლიმიაშვილმა და რექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში ზ. გასიტაშვილმა.
4. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2011 წლის 6 მაისის № 450[1]
დადგენილების დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი

1. შეფასების მიზანი

შეფასების ძირითადი მიზანია სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი. შედეგად შემუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები როგორც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, ასევე, სწავლების ფორმების, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისა და მათი სტრუქტურის დახვეწის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

2. შეფასების ფორმები

უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმებით: საგანმანათლებო პროგრამებისა (კურიკულუმის) და შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) შემოწმება; მეცადინეობებზე დასწრება; ლაბორატორიების ტექნიკური ბაზისა და აუდიტორიების აღჭურვილობისა და მათი მდგომარეობის შემოწმება; აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის კომპეტენტურობის დადგენა; სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებითა და სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებული სამუშაოებისა და პროექტების შესრულების შეფასება; უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვა. შეფასება ძირითადად ხდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული სპეციალური კითხვარების საშუალებით. შეფასების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები.

შეფასების პროცესში ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას. იგი განხორციელდება სპეციალური კომისიის მეცადინეობაზე დასწრებით. კომისიის შემადგენლობაში შევა უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიების წარმომადგენლები. ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად (რეგისტრაციის გავლა, მეცადინეობის დროული დაწყება, განხილული თემის შესაბამისობა სილაბუსში მოცემულ გეგმასთან და სხვ.), შემოწმდება მეცადინეობის წამყვანი პროფესორის ან მასწავლებლის შესაბამისი კომპეტენტურობების განვითარების დონე.

3. შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ფაქტორები

- **ინფორმაციის წარდგენა და გადაცემა**

საუბრობს გარკვევით და თავისუფლად; ნათლად გამოხატავს აზრს, წარადგენს ინფორმაციასა და ძირითად მითითებებს. აკეთებს პრეზენტაციებს; მარჯვედ და დამაჯერებლად ართმევს თავს საჯარო გამოსვლებს; სწრაფად რეაგირებს აუდიტორიის რეაქციებსა თუ გამოხმაურებაზე.

- გასაგებად და გამართულად საუბარი;
- ინფორმაციის, შეხედულებებისა და არგუმენტების საკვანძო საკითხების გამოყოფა და ნათლად ჩამოყალიბება;
- პრეზენტაციების მომზადება და მეცადინეობების თავდაჯერებული წარმართვა;
- არგუმენტის ლოგიკის ნათელი ახსნა და საკვანძო საკითხების ეფექტიანი წარდგენა;
- სტუდენტებისა და კოლეგების შეკითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა;

- აუდიტორიის მოთხოვნებზე, რეაქციასა და უკუკავშირზე სწრაფი და სწორი რეაგირება;
- თვალსაჩინო მასალის და ვიზუალური დანართების ეფექტიანი გამოყენება;
- მსმენელთა მიერ ინფორმაციის სწორად გაგების გადამოწმება.

- **სახელმძღვანელოების, სილაბუსების, თვალსაჩინო მასალის მომზადება**

წერს გარკვევით და ლაკონურად, გრამატიკული წესების დაცვით; თავს არიდებს ზედმეტ ფრაზებს, ჟარგონის ხმარებას და რთულ ლექსიკას; წერს სტრუქტურირებულად და ლოგიკურად.

- გრამატიკულად გამართული და სწორი წერა;
- ლაკონურად და გასაგებად წერა;
- ლოგიკურად გამართული წერილობითი კონსტრუქტების შექმნა;
- ზედმეტად გართულებული ენისთვის თავის არიდება;
- აუდიტორიის შესაბამისი და გასაგები პრეზენტაციებისა ან თვალსაჩინო მასალის მომზადება;
- საკითხის შინაარსის წერილობით აღწერა სრულად და გასაგებად.

- **პროფესიული ცოდნა და ტექნოლოგიების გამოყენება**

საკუთარ სფეროში ავლენს დეტალურ ცოდნასა და პროფესიონალიზმს, ეფექტიანად იყენებს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ რესურსებს, ატარებს შესაბამის კონსულტაციას.

- საკუთარ სფეროში პროფესიონალიზმისა და ღრმა ცოდნისა გამოვლენა;
- პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი მუშაობა;
- სამუშაო მიზნების მიღწევისთვის შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- ახალი ტექნოლოგიების საშუალებით სამუშაო პროცესების გაუმჯობესების გზების მოძიება.

- **ზეგავლენა და დარწმუნება**

დამაჯერებელი საუბრით მსმენელზე ახდენს შთაბეჭდილებას, ეფექტიანად წარადგენს თავს საზოგადოების წინაშე, დადებითი ემოციებისა და ენთუზიაზმის გამოყენებით ახდენს სხვებზე ზეგავლენას და იოლად მოიპოვებს აუდიტორიის ნდობას.

- სხვებზე დადებითი და დამაჯერებელი შთაბეჭდილების მოხდენა;
- თავდაჯერებული საუბარი, საკუთარი თავის ეფექტურ წარდგენაზე ზრუნვა;
- დადებითი ემოციებისა და ენთუზიაზმის გამოყენებით სხვებზე ზეგავლენის მოხდენა;
- დაძაბულობისა და სტრესის შესამცირებლად იუმორის ეფექტიანი გამოყენება;
- ჟარგონის უადგილო გამოყენების თავის არიდება;
- აუდიტორიის ნდობის მოპოვება.

- **ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა**

ხელმძღვანელობს და მოტივირებას უწევს სტუდენტებს, სწორად და სამართლიანად ანაწილებს დავალებებს, უზრუნველყოფს ნათელ და კონსტრუქციულ უკუკავშირს, ზრუნავს სტუდენტთა განვითარების გზების ძიებაზე და გასცემს შესაბამის რჩევებს მათი ნიჭის საუკეთესოდ გამოვლენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

- ქცევის გაზომვადი სტანდარტების განსაზღვრა;
- ქცევის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში მიზეზების დადგენა და შესაბამისი ზომების მიღება;
- სტუდენტთა და თანამშრომელთა ორიენტირება სამუშაო პროცესზე;
- დავალებათა სამართლიანი და სწორი განაწილება;
- შესრულებულ დავალებებზე გასაგები უკუკავშირის მიცემა;

- სტუდენტთა და თანამშრომელთა განვითარების უზრუნველყოფა, რჩევების მიცემა მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

- **დისციპლინა და დროის განაწილება**

დროულად ცხადდება სამსახურში, აქვს დროში გაწერილი და ნათლად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა, სამუშაოს ასრულებს დადგენილ ვადაში და დაუგეგმავ ცვლილებებზე ახდენს დროულ რეაგირებას.

- სამსახურში და მეცადინეობებზე დროულად გამოცხადება;
- გეგმის მიხედვით მოქმედება;
- სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულება;
- დაუგეგმავ ცვლილებებზე სხვების წინასწარი გაფრთხილება.

- **უნივერსიტეტისადმი ერთგულება**

თმობს პირად ინტერესებს უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ორიენტირებას იღებს უნივერსიტეტის გრძელვადიან მიზნებზე, მოქმედებს სასწავლებელში დამკვიდრებული ღირებულებების შესაბამისად.

- პირადი ინტერესების დათმობა უნივერსიტეტის ინტერესების სასარგებლოდ;
- ორიენტირება უნივერსიტეტის გრძელვადიან წარმატებაზე;
- უნივერსიტეტის შესახებ პოზიტიური წარმოდგენის შექმნაზე ზრუნვა;
- უნივერსიტეტში დამკვიდრებული ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისად მოქმედება;
- ეთიკური ნორმების დასაცავად სტუდენტთა და თანამშრომელთა წახალისება.

- **ურთიერთობის ადაპტირებადი სტილი**

განსხვავებულ სიტუაციებში ამოიცნობს ურთიერთობის საუკეთესო გზებს, ცალკეულ პირებთან აქვს განსხვავებული მიდგომა, ურთიერთობისას არ ამახვილებს ყურადღებას ეთნიკურ წარმომავლობაზე.

- განსხვავებულ სიტუაციებში ურთიერთობის საუკეთესო სტილის ამოცნობა;
- წარმატებული ურთიერთობისთვის ცალკეულ პირებთან განსხვავებული მიდგომების გამოყენება;
- სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მიმართ პატივისცემა;
- არაერთგვაროვან სიტუაციებში თავდაჯერებულობის შენარჩუნება;
- კომფორტულად მუშაობა არაორდინალურ გარემოში, როდესაც ქცევის ნორმები არ არის ზუსტად დადგენილი.

- **ზეწოლისათვის თავის გართმევა და ემოციების კონტროლი**

ზეწოლის პირობებში ინარჩუნებს ობიექტურობას, ეფექტიანად მართავს ემოციებს, დაძაბულ გარემოში შეუძლია პროდუქტიული მუშაობა, მიღებულ კრიტიკასა თუ შენიშვნებს აღიქვამს ობიექტურად.

- ზეწოლის პირობებში ობიექტურობის შენარჩუნება;
- პროდუქტიული მუშაობა დაძაბულ გარემოში;
- საკუთარი ემოციების ეფექტიანი მართვა;
- სამსახურისა და პირადი ცხოვრების დაბალანსება;
- წარუმატებლობისას ძალების სწრაფი აღდგენა;
- კრიტიკის აღქმა როგორც განვითარების შესაძლებლობის და არა როგორც პიროვნებაზე შეტევის;
- უსამართლო კრიტიკაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილებისთვის თავის არიდება.

- **ანალიზი**

შეუძლია განსხვავებული სახის ინფორმაციის გაანალიზება და დამუშავება, საკვანძო საკითხების გამოყოფა, მათი გარჩევა და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

- რიცხვითი, ვერბალური და სხვა სახის ინფორმაციის გაანალიზება;
- ურთიერთკავშირების, მაგალითებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაშიფვრა;
- საკვანძო საკითხების უმნიშვნელო ან მეორეხარისხოვანი საკითხებისგან გამორჩევა;
- მონაცემთა გაერთიანების უნარი;
- დასკვნის გამოტანის უნარი.

- **სტუდენტებთან მუშაობა**

ზრუნავს სტუდენტთა დაინტერესებასა და მოტივირებაზე, შეიმუშავებს მათთან ურთიერთობის ინდივიდუალურ მიდგომებს ქცევებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უთმობს დროს გასაუბრებას, ყურადღებით განიხილავს მათ პრობლემებს, ინტენსიურად ზრუნავს სტუდენტთა მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.

- დაინტერესება სტუდენტების მოტივებითა და შეხედულებებით;
- არავერბალური და ემოციური ნიშნების სწორად აღქმის უნარი, სტუდენტების გრძნობების ამოცნობა;
- სტუდენტთა ქცევაზე დაკვირვება და ქცევების ინტერპრეტირება;
- შეხედულებების, გრძნობებისა და აზრების გაზიარებაზე სტუდენტთა მოტივირება;
- სტუდენტთა საუბარისთვის სრული ყურადღების დათმობა;
- სტუდენტთა თანაგრძნობით მოსმენა;
- სხვების მიმართ პატივისცემის გამოვლენა და ღირსეულად მოპყრობა;
- განსხვავებული მოთხოვნებისა და შეხედულებების მიმართ ტოლერანტობა;
- სხვათა ემოციების მიმართ თანაგრძნობის გამოვლენა;
- სხვათა თვალთახედვიდან მოვლენების დანახვა;
- სტუდენტების მხარდაჭერა, საქმიანობაში მათი ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მათი დაცვა.

- **ურთიერთობები სხვადასხვა დონეზე**

შეუძლია საკუთარი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების გაანალიზება, იოლად ამყარებს ურთიერთობებს სხვადასხვა დონეზე, ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს, შეუძლია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და დადებული შეთანხმების შესრულება.

- გააზრება იმისა თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს საკუთარმა შეხედულებებმა და გრძნობებმა პედაგოგის როლზე;
- საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შესწავლა;
- ნდობის მოპოვება სამართლიანი და შესაბამისი მოქმედებით;
- კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;
- დადებული შეთანხმების დაცვა;
- შეცდომების აღიარება;
- ურთიერთობის იოლად დამყარება და მეგობრული გარემოს შექმნა;
- ყველა დონის ადამიანთან ურთიერთობის უნარი;
- კოლეგებთან კარგი ურთიერთობის დამყარება;
- კონფლიქტების მოგვარებაში შუამდგომლობა;
- სხვების იმედგაცრუებისა და უარყოფითი ემოციების შესამცირებლად ზომების მიღება, გაუგებრობის მართვა ტაქტისა და დიპლომატიის საშუალებით.